ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 150

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის „11“ „ნოემბერს“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, **საკუთარი სახსრებით**, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე) (CPV კოდი – 39100000).

ერთის მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში **შემსყიდველი**) სააგენტოს უფროსის მოადგილის ირაკლი გოდუაძის სახით, **მისამართი**: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6. ს/კ 204578581. **ტელ:** 2753910. **საბანკო რეკვიზიტები:** ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „ბელუქსი“ (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი დირექტორის ლევან ჭყონიას სახით. **მისამართი:** ქ. თბილისი, სოფელი დიღომი „თეთრდუქანი“ (მისამართები: ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №118, ბინა №30; ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი.). ს/კ 205185459. **ტელ:** 2517400. **საბანკო რეკვიზიტები:** ქ.თბილისი, ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“, ბანკის კოდი: REPLGE22, ა/ა GE39BR0000010005578235. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს სხვადასხვა სახის და რაოდენობის ავეჯი და საოფისე ინვენტარი (წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებული საქონლის დასახელების, ტექნიკური აღწერილობის, რაოდენობების და ფასების ცხრილის შესაბამისად. დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) (შემდგომში საქონელი) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საქონლის ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (მათ შორის ტრანსპორტირების) შეადგენს **4990 (ოთხი ათას ცხრაასოთხმოცდაათი)** ლარს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე.

3.2 საქონლის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველის წარმომადგენლები (კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები) განიხილავენ მიწოდებული საქონლის შესაბამისობას ხელშეკრულებით დადგენილთან.

3.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველის უფლებამოსილი პირი, მიწოდებული საქონლის შესახებ მიმწოდებელთან ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს, მიმწოდებლის ხარჯით 5 (ხუთი) სამუშო დღის ვადაში გამოასწოროს წუნდებული საქონლის ხარისხი წუნდებული საქონლის ახალი საქონლის ჩანაცვლებით.

3.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 3.3 პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს ახალი უნაკლო საქონლის მიწოდებამდე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.5 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის უფროსი დავით ალადაშვილი.

3.6 შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: ქ.მცხეთა, მუხრანის ქუჩა №17ა.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11..2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11..3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.2 პუნქტის დადგომის შემთხვევაში.

11.3.3 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის უფროსი მეტყევე კახაბერ მწითური და ამავე სამსახურის მცხეთა-დიდგორის სატყეო უბნის უფროსი ჯაბა ბერიძე (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი“).

12.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

12.2.1 გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და/ან მოთხოვნებს.

12.2.3 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
----------	----------
ირაკლი გოდუაძე	ლევან ჭყონია
სააგენტოს უფროსის მოადგილე	შ.პ.ს. „ბელუქსი”-ს დირექტორი

საქონლის დასახელება, ტექნიკური აღწერილობა, რაოდენობები და ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება და ტექნიკური აღწერილობა	რ-ბა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	**საოფისე მაგიდა:** (მისადგმელი + ტუმბო) მთლიანად MDF ხის შპონით, ფერი ვენგე. მაგიდის ზედაპირის შუა ნაწილი დაფარული უნდა იყოს მაღალი ხარისხის შავი ფერის ტყავის შემცველელით, რომელიც გაყოფილი იქნება შუაზე კაუჩუკის შავი ფერის დეტალით (8სმსმX90სმ). უნდა ქონდეს ორი მეტალის ელ-გაყვანილობის არხი. წინა ფასადზე უნდა ქონდეს შავი ფერის მინის დეტალი. ზომები - სიგრძე 90სმ, სიმაღლე 70სმ. მაგიდის ზომები - სიგრძე 220სმ, სიმაღლე საყრდენი წერტილიდან 76სმ, სიგანე 105სმ, მაგიდის ზედაპირის სისქე 7სმ. **მისადგმელი** - ასევე MDF ხის შპონით, ფერი ვენგე, რომელიც დამოუკიდებელი ნაწილი იქნება მაგიდისგან, ზედაპირზე უნდა ქონდეს ერთი მეტალის ელ-გაყვანილობის არხი, ქვემოთ უნდა ქონდეს ერთი დია თარო პროცესორისთვის და ორი დახურული კარი მეტალის სახელურით, რომლის თავზეც მოთავსებული იქნება კლავიატურის დასადები. მისადგმელის ზომები – სიგრძე 100სმ, სიგანე 50სმ. **მოძრავი ტუმბო გორგოლაჭებზე** - უნდა ქონდეს ორი დახურული უჯრა მეტალის სახელურებით და ცენტრალური საკეტით და ერთი დამატებით ფაილების ჩასადები. ზომები - სიგრძე 40სმ, სიგანე 48სმ, სიმაღლე 55სმ.	1	2400	2400
2	**ტელევიზორის მაგიდა:** შავი ფერის მეტალის კარკასი. უნდა ქონდეს შავი გამოწრთობილი მინის ზედაპირი და ორი დია თარო (ასევე შავი ფერის გამოწრთობილი მინა). უკანა მხარეს უნდა ქონდეს შავი ფერის მეტალის მოძრავი კრონშტეინი, რომელზეც იკიდება ტელევიზორი. ზომები - სიმაღლე საყრდენი წერტილიდან 110სმ, მთლიანი სიგრძე 127სმ, თაროების სიგრძე 90სმ, სიგანე 50სმ.	1	755	755
3	**ვიზიტორის სკამი:** MDF ხის შპონით კარკასი. მაღალი ხარისხის ტყავის შემცველელი, ფერი შავი. შიგთავსი გამოხარშული ღრუბელი სილიკონით გაჯერებული. უნდა იდგეს MDF ხის შპონით, ყავისფერ სტაციონალურ ფეხზე. MDF ხის შპონით ყავისფერ სახეურებზე უნდა დაყეებოდეს მაღალი ხარისხის ტყავის შემცველელი, ფერი შავი. ზომები - სიმაღლე საყრდენი წერტილიდან 92სმ, სიგანე სახელურების ჩათვლით 60სმ, დასაჯდომის სიღრმე 52სმ, დასაჯდომის სიგანე 51სმ, საზურგის სიმაღლე 60სმ, საზურგის სიგანე 49სმ.	2	370	740
4	**საოფისე სკამი:** კაუჩუკის გორგოლაჭებზე. მეტალის კარკასი. შიგთავსი გამოხარშული ღრუბელი სილიკონით გაჯერებული. მაღალი ხარისხის ტყავის შემცველელი, ფერი შავი. უნდა ქონდეს ზურგისა და სიმაღლის მარეგულირებელი მექანიზმი. სკამს ზურგზე უნდა ქონდეს რამდენიმე ნაკერი ზოლებად სიგანეზე. სახელურებს წინ მხარეს უნდა ქონდეს ღია ყავისფერი ხის დეტალები ზურგი უნდა ფიქსირდებოდეს სხვადასხვა გადაწეულ პოზიციაში. ზომები - სიმაღლე საყრდენი წერტილიდან 130სმ, სიგანე სახელურების ჩათვლით 64სმ, დასაჯდომის სიგანე 50სმ, დასაჯდომის სიღრმე 43სმ, ზურგის სიმაღლე 75სმ, ზურგის მაქსიმალური სიგანე 56სმ.	1	690	690
5	**საოფისე კარადა:** 2 კარიანი. მთლიანად MDF ხის შპონით, ფერი ვენგე. კარადის ქვედა მხარე უნდა იყოს დახურული ორი კარით, ვერცხლისფერი სახელურები და ჩამკეტი. შიგნით მოთავსებული უნდა იყოს ერთი თარო, თაროებს შორის მანძილი - 34სმ. ზედა ნაწილს უნდა ქონდეს ორი შუშის კარი შავი ფერის ჩარჩოთი, რომელშიც არის სამი დია თარო, თაროებს შორის მანძილი - 40სმ. აქვს ვერცხლისფერი სახელურები. კარადის ზომები: - სიგრძე 200სმ. სიგანე 80სმ. სიღრმე 40სმ. ზედა შუშიანი კარის ზომები - სიგრძე 120სმ. სიგანე 40სმ. ქვედა კარის ზომები - სიგრძე 68სმ. სიგანე 40სმ.	1	405	405
				4990

„შემსყიდველი"

ირაკლი გოდუაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

„მიმწოდებელი"

ლევან ჭყონია

შ.პ.ს. „ბელუქსი"-ს დირექტორი